„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყორხელი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2021 წელი ● №17 (9511) ● 1-15 სექტემბერი ● ფასი 50 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

... გზის რეაბილიტაცია დაიწყო

ამ ეტაპზე საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია ე.წ. საკირეს მთაზე არსებულ ჯვართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, პარკინგის მოწყობა და LED სანათებით, გარე განათების დამონტაჟება.

სამუშაოებს შპს „აფო” ახორციელებს.

სენაკში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება დაიწყო - ეს ე.წ. საკირეს მთაზე არსებულ ჯვართან მისასვლელი გზის კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტია, რომლის ღირებულება 222 221 ლარს შეადგენს.

განახლებული ინფრასტრუქტურით, მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი მრავალფუნქციური, მათ შორის, ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სივრცე შეემატება.

სენაკში „ფაიზერით" ვაქცინაცია ხელმისაწვდომია



მასობრივი ვაქცინაციის პროცესი სენაკის მუნიციპალიტეტში აქტიურად გრძელდება.

ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა, „არქიმედეს კლინიკაში” ფაიზერის ვაქცინით აიცრას.

ვიზიტის დაჯავშნა შესაძლებელია ელექტრონულ პორტალზე booking.moh.gov.ge. ასევე ვირტუალურ კაბინეტში, ადგილზე რეგისტრაციის საფუძველზე.

კოვიდინფიცირებული პაციენტების გეგმიური ამბულატორიული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, „არქიმედეს კლინიკის” ტერიტორიაზე კარავი განთავსდა.

სენაკში იმუნიზაცია ასევე შესაძლებელია ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში.

ამ ეტაპზე, ვაქცინაცია ჩატარებულია თეკლათის, მენჯის, ეკის, ლეძაძამეს, ხორშის, ძველი სენაკისა და ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულებში

მსოფლიო ვიცე -ჩემპიონთან შეხვედრა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან ერთად, ჩვენი ქალაქის საამაყო ახალგაზრდას, ახალგაზრდებს შორის ოლიმპიურ და ევროპის ჩემპიონს, მსოფლიო ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონს, გიორგი ჩხიკვაძეს შეხვდა.

გიორგი ჩხიკვაძე 2008 წლიდან ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეა.

ჭაბუკთა შორის საქართველოს ორგზის ჩემპიონმა, ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის საქართველოს ერთგზის ჩემპიონმა, მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ევროპის ორგზის პრიზიორმა, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულმა, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ტიტულის მფლობელმა, ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ჰიმნი მესამედ ააჟღერა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

მიმდინარე წლის 22 აგვისტოს, უფაში, ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სენაკელი ფალავანი ვიცე-ჩემპიონი გახდა.

მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა გიორგის მოპოვებული გამარჯვება მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია სენაკელ ფალავანს ფულად ჯილდოს გადასცემს.

დამატებითი სივრცე - პისიარ და სწრაფი ანტიგენით ტესტირებისთვის

მუნიციპალიტეტში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე და დაინფიცირების რისკების თავიდან აცილების მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს სათანადოდ აღჭურვილი მსუბუქი კონსტრუქციის კონტეინერის ტიპის ჯიხური გადასცა.

მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიმდებარედ, იზოლირებულად ჩაიტაროს პისიარ და სწრაფი ანტიგენით ტესტირება.

მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელ გზაზე განათების სისტემა ეწყობა

მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელ გზაზე, LED ნათურებით, განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

აღნიშნულ სამუშაოებს წინ უსწრებდა მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის ასფალტირების მასშტაბური პროექტი, რომელიც სამი ათეული წლის შემდეგ, პირველად, მიმდინარე წელს განხორციელდა.

გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოები სენაკში 2017 წლიდან მიმდინარეობს.

სამუშაოებს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი ახორციელებს და უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტს სრულად მოიცავს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

2021 წლის 2 ოქტომბერს გაიმართება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული სენაკის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები

კანდიდატის ნომერი	წარმდგენი	სახელი, გვარი
5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	კობა ნაყოფია
25	გახარია - საქართველოსთვის	გიორგი სიჭინავა
41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	ვახტანგ გადელია
43	„მესამე გზა”	აპოლონი გარუჩავა

საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატები

მაჟორი-ტარული ოლქი	კანდი-დატის №	წარმდგენი	სახელი	გვარი
1	5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	მირანდა	მირცხულავა
1	25	გახარია - საქართველოსთვის	ელისო	ხარბედია
1	41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	ბეჟანი	სანაია
1	43	„მესამე გზა”	ბესიკი	წულეისკირი
2	2	„ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის”	მანანა	წურწუმია
2	5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	ბესიკი	ნარმანია
2	9	„ლელო”	კახა	ადამია
2	25	გახარია - საქართველოსთვის	ირაკლი	კაჭარავა
2	41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	გრიგოლი	მიქაია
2	43	„მესამე გზა”	გურანდა	ოდიშარია
3	5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	ლაშა	კუჭავა
3	25	გახარია - საქართველოსთვის	თამაზი	ჟვანია
3	41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	გიგა	წურწუმია
3	43	„მესამე გზა”	თენგიზი	გარუჩავა
4	2	„ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის”	ოქსანა	წურწუმია
4	5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	ვახტანგ	წურწუმია
4	9	„ლელო”	მონიკა	თოდუა
4	25	გახარია - საქართველოსთვის	ბაკური	შამათავა
4	41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	ირაკლი	რუსია
4	43	„მესამე გზა”	ელგუჯა	გარუჩავა
5	2	„ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის”	ირაკლი	ჯიშკარიანი
5	5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	ბაკური	ხურცია
5	25	გახარია - საქართველოსთვის	გიორგი	მურღულია
5	41	. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	ბადრი	ხურცია
5	43	„მესამე გზა”	გიორგი	ხუნწარია
6	2	„ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის”	მიხეილი	სანიკიძე
6	5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	საბა	სირია
6	25	გახარია - საქართველოსთვის	ნათია	სიმონია
6	41	. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	კობა	კილასონია
6	43	„მესამე გზა”	თამაზი	ოდიშარია
7	2	„ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის”	ამირან	დავითაია
7	25	გახარია - საქართველოსთვის	ლანა	ქავთარაძე
7	41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	ლევანი	ჯინორია
7	43	„მესამე გზა”	თეონა	გარუჩავა
8	2	„ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის”	სოსლანი	ჯოჯუა
8	5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	მამუკა	აბშილავა
8	25	გახარია - საქართველოსთვის	თეონა	ბაღათურია
8	41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	შაქრო	კოკაია
8	43	„მესამე გზა”	ცირა	გარუჩავა
9	2	„ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის”	ასმათი	ნოდია
9	5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	ზურაბი	სანაია
9	25	გახარია - საქართველოსთვის	გენადი	გაბელია
9	41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	კაპიტონი	ტორჩინავა
9	43	„მესამე გზა”	შორენა	მალიჩავა
10	1	„მესამე ძალა”	გიორგი	აბაკელია
10	5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	რეზო	ავალიანი
10	25	გახარია - საქართველოსთვის	მამუკა	ჭითავა
10	41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	ბადრი	შარტავა
10	43	„მესამე გზა”	ანტონი	შარტავა
11	2	„ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის”	ვანო	ხარბედია
11	5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	ვალერი	კუჭავა
11	25	გახარია - საქართველოსთვის	გიგა	ხარბედია
11	41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	ირაკლი	ცხვიტავა
11	43	„მესამე გზა”	სოფიო	ადამია

№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისია

უფასო პოლიტიკური რეკლამა

№41 განვითარება ყველა რეგიონს „ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო“

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" სენაკის მერობის კანდიდატი - ვახტანგ გადელია

ვახტანგ გადელია 1986 წლის 16 ივნისს, ქ. სენაკში დაიბადა.

2002-2003 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზებულ სასწავლო ცენტრში, სკოლა -კოლეჯში „ჰარმონია".

2003-2007 წლებში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფაკულტეტზე - ფინანსები და საბანკო საქმე.

2017 წელს დაამთავრა საქართველოს უნივერსიტეტი, ფინანსური აღრიცხვა და მენეჯმენტის სპეციალობით.

2007 – 2008 წლებში მუშაობდა სს „საქართველოს ბანკში", საკრედიტო ოფიცრის პოზიციაზე.

2009 – 2013 წლებში გახლდათ სს „არქეოპოლისის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2013 – 2017 წლებში ეკავა შპს „მშენებელი 999-ის" დირექტორის პოსტი.

2017 – 2020 წლებში - შპს „GBG-ის" დირექტორი გახლდათ.

2020 წლიდან დღემდე, ვახტანგ გადელია შპს „ჰიდროქონსტრაქშენჯორჯიაში", პროექტის დირექტორის პოსტს იკავებს.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჩემო სენაკელებო!

ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მშობლიური ქალაქის მერობის კანდიდატი ვიყო.

სენაკში დავიბადე, ქართული კულტურისა და ტრადიციების ქალაქში, სადაც ყველა დროში ღირსეული, პატრიოტი, ერთგული და შორსმჭვრეტელი ხალხი ცხოვრობდა და ცხოვრობს. ამიტომაც, ყველაფერი, რაც მშობლიურ სენაკს უკავშირდება, ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი და მნიშვნელოვანია.

თქვენი მხარდაჭერით, ჩემს გუნდთან ერთად, შესაძლებლობა მექნება, საკუთარი წვლილი შევიტანო ჩვენი მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარებისა და აღმშენებლობის საქმეში, რაც, საბოლოოდ, თითოეული სენაკელის კეთილდღეობაზე აისახება.

დღეს, სენაკში, ქალაქად თუ სოფლად, აქტიური განახლების პროცესი მიმდინარეობს. სხვადასხვა მიმართულებით, უკვე არაერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი განხორციელდა, თუმცა სენაკის მუნიციპალიტეტის წინსვლა მეტად უნდა დავაჩქაროთ.

ვაცნობიერებ, რომ აღმშენებლობის პარალელურად, კვლავაც რჩება გამოწვევები და მოსახლეობა არაერთი მწვავე პრობლემის წინაშე დგას.

მე და ჩემს გუნდს გვაქვს კონკრეტული და რეალისტური ხედვა, რომელიც თითოეული მოქალაქის საჭიროებებზეა გათვლილი და გულისხმობს ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სასოფლო-სამეურნეო, ტურისტურლი პოტენციალის რეალიზებას, ხარისხიანი განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდას, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნვრელყოფასა და შესაძლებლობის ფარგლებში, სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნას,

ამ ხედვის რეალიზებისთვის, დღეს, როგორც არასდროს, ერთმანეთის მხარდაჭერა გვჭირდება. განვითარების დიდი რესურსი და პოტენციალი გვაქვს და მსურს, ჩვენი მუნიციპალიტეტის აღმშენებლობაში თითოეულმა სენაკელმა უშუალო მონაწილეობა მიიღოს.

ერთად ყველა დაბრკოლებას დავძლევთ, ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

№43 – უკეთესი სენაკისათვის „მესამე გზა“

სენაკის მერობის კანდიდატი - აპოლონ გარუჩავა

აპოლონ (გიგა) რეზოს ძე გარუჩავა დაიბადა 1981 წლის 22 ოქტომბერს ქალაქ სენაკში. 1999 წელს დაამთავრა სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საშუალო სკოლა. შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. (1999-2003 წ.წ.) ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ ჩაირიცხა აღნიშნული უნივერსიტეტის მაგისტრატურაზე ამავე სპეციალობით და მოიპოვა მაგისტრის ხარისხი. სწავლის პარალელურად საქმიანობდა ბიზნესის სფეროში და სხვა საზოგადოებრივ სექტორში. ფლობს ინგლისურ ენას. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები

აპოლონ გარუჩავა ზრუნავდა და ზრუნავს ადამიანთა დასაქმებაზე. 25 წლის მანძილზე დასაქმებული ჰყავდა 1000 ადამიანზე მეტი. დღეს სტაბილურად დასაქმებული ჰყავს 30 ოჯახი.

სენაკში მის მიერ შექმნილი უძრავი ქონებით დასაქმებულია 100 ადამიანი. ის მუდამ ქმნის სამუშაო ადგილებს სხვადასხვა დარგებში. ძირითადად მის ბიზნეს სეგმენტს წარმოადგენს უძრავი ქონების ბიზნესი, სარესტორნო ბიზნესი, სასტუმროს სფერო, სოფლის მეურნეობის, კვების და სურსათის დარგები, ასევე მომსახურეობის სხვადასხვა სფეროები.

აპოლონ გარუჩავას სენაკში აშენებული აქვს 15-მდე სხვადასხვა სახის ობიექტი. მან გადაარჩინა მეგრული ოდის მიმდებარე პარკი გაქრობას, სადაც გათვალისწინებული იყო იუსტიციის სახლის მშენებლობა. იუსტიციის სახლი აშენებულ იქნა სხვა ადგილზე, რამაც ხელი შეუწყო პერიფერიის განვითრებას. მან ჩაშალა სენაკის ყოფილი საავადმყოფოს შენობის დემონტაჟი, სადაც იგეგმებოდა მერიის ახალი შენობის აშენება. ამჯერად სენაკის მერიის აშენება გათვალისწინებულია ახლადაშენებული სასწრაფო დახმარების სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის არეალის უფრო გაფართოება-გაშლას.

აპოლონ გარუჩავას პროტესტით შეჩერებული იქნა, ყოფილი სოფლის ავტობუსების სადგურის გაუქმება, რითაც მან ხელი შეუშალა ამ ადგილზე პროფილაქტიკის გაშენებას.

იგი ეხმარება სენაკში ტაძრების მშენებლობას ცემენტით, სხვა მასალებით (მშენებლობას შეწირა 25 ტონა ცემენტი) მის მიერ იქნა დაფუძნებული სენაკის „მწვანე ჯვრის საქველმოქმედო ფონდი", აქციით „მწვანე ნარგავები სენაკს" ხელი შეუწყო ქალაქის გამწვანების სასიკეთო საქმეებს. მისი ჩართულობით მოეწყო საგზაო ნიშნები, სასმელი წყლის წერტილები, მემორიალური ადგილები, გაუმჯობესდა პარკირება, დაწყებული აქვს მუშაობა სენაკში ზვიად გამსახურდიას ძეგლის დასადგამად, საკირეს მთაზე სივრცის მოსაწყობად (სენაკის მემორიალური პარკის სახით. მისი ჩართულობით დაიბეჭდება წიგნი სენაკის ისტორია 80-90-იან წლებზე. მისი მიზანია სენაკი იყოს აღორძინებული – ძლიერი სოფლებით, ბევრი საწარმოთი, გასართობი, კულტურულ- საგანმანათლებლო ცენტრებით. აპოლონ გარუჩავას მიზანია, სენაკში დასრულდეს კლანური მმართველობა, დამკვიდრდეს ახალი რეალობა, მოხდეს ბიუჯეტის სწორი განაწილება, განხორციელდეს სხვადასხვა საწარმოების ინვესტირება და ეკონომიკური გაძლიერება.

სენაკი უნდა იქცეს ტურისტულ ცენტრად, შეიქმნას სხვადასხვა სფეროში ახალი სამუშაო ადგილები და ყველაფერი გაკეთდეს ახალგაზრდების დასასაქმებლად და მათი მოტივაციის ასამაღლებლად.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის (თემის) მერის 2021 წლის არჩევნების 2 ოქტომბერში დანიშვნასთან დაკავშირებით „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ზოგადი რეგულაციების" შესაბამისად მედიისათვის განსაზღვრული ვალდებულებით, რაც საზოგადოების არჩევნების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას და არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და მერობის კანდიდატთა თანაბარი პირობების შექმნას უკავშირდება, გაზეთ „კოლხეთში" წინა საარჩევნო აგიტაციისა და რეკლამებისთვის გამოიყო მიმდინარე წლის აგვისტოს და სექტემბრის თვის ნომრებში (პერიოდულობა 1-15 აგვისტო, 16-31 აგვისტო, 1-15 სექტემბერი,16-30 სექტემბერი;) ორი-ორი გვერდი, დაწესდა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის თანაბარი ფასიანი (1 სამაკეტო უჯრა) და უფასო ფართი. მოცულობა -გამოყოფილი 1 ერთი გვერდის მესამედი თითოეული მერობის კანდიდატისა და პარტიებისთვის. არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის ქ.№103, ტელეფონი: 0413 27 61 50

გაზეთ „კოლხეთის"
რედაქცია

მადლობის ბუნაგი

მადლიერება განსაკუთრებული გრძნობაა, რომელიც ადამიანმა უნდა გამოხატოს შეგნებულად, გულწრფელად.

ამ წერილით ყველა მინდა გავაგებინო იმ სიკეთის შესახებ, რომელიც ბატონ დემურ გადელიამ ჩემი ოჯახისათვის გააკეთა.

როდესაც ჩემი შვილიშვილი თორნიკე ნაკაშია უნივერსიტეტში ჩაირიცხა(მადლობა უფალს რომ სწავლის ქირა არ გვქონდა გადასახდელი), თავისთავად დღის წესრიგში დადგა ბინის საკითხი, სადაც უნდა ეცხოვრა ბიჭს სტუდენტობის პერიოდში. დამეთანხმებით, რომ ჩვენისთანა ,,ჩვეულებრივი" ოჯახისათვის საკმაოდ რთული იყო სტუდენტის ,,შენახვა" თბილისში: ბინის ქირა, კომუნალურები, ყოველდღიური ხარჯები(შეიძლება მოგვეძიებინა ჩვენც თანხა, მაგრამ ნამდვილად ძალიან გაგვიჭირდებოდა).

ამ საკითხთან დაკავშირებული ჩემი გულისტკივილის შესახებ ვუამბე ბატონ დემურის. მან ჩვეული გულისხმიერებით მომისმინა და დამაიმედა: ნუ ნერვიულობ, ყველაფერი მოგვარდება, მხოლოდ ბიჭი გამაცანიო.

ამჯამად თორნიკე მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტია. სწავლის დაწყებიდან დღემდე ჩვენ ვიყავით ,,მშვიდად", რადგა ბიჭი საიმედო ადგილას გვყავდა. არ შემიძლია არ ავღნიშნო ის ფაქტიც, რომ ბინაში ცხოვრობდა არაჩვეულებრივი ქალბატონი ნანი, რომელიც თორნიკეს მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებდა.

ბატონო დემურ, რა რთული ყოფილა მადლობის გადახდა, ნამდვილად მიჭირს ისეთი სიტყვების მოძებნა, რომლებიც სრულად გამოხატავდნენ მადლიერებას თქვენს მიმართ, ათასჯერ მინდა გითხრათ: "გმადლობთ". შეუძლებელია უბრალო მადლობით გამოიხატოს ჩემი დამოკიდებულება თქვენდამი, ჩემი ოჯახის წევრების მადლიერება თქვენს მიმართ ჩვენი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სიკეთე, რომელიც თქვენ გააკეთეთ, იმდენად დიდია, რომ საკუთარი ოჯახის წევრებსაც კი გაუჭირდებოდათ.

დღევანდელი გადმოსახედიდან დარწმუნებული ვარ, როდესაც ჩემს ოჯახს ადრეულ წლებში გარკვეული პრობლემები შეექმნა, მე რომ თქვენთვის მომემართა, ალბათ ის უბედურება ამცდებოდა, ჩემს ოჯახს თავს რომ დაატყდა.

თქვენ ის ადამიანი ხართ, რომელიც ყოველთვის მზად არის დასახმარებლად, განსაკუთრებით ყურადღებას იჩენთ ახალგაზრდების მიმართ. მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა და ბედნიერება ცხოვრებაში. ბოლოს ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, ქველმოქმედება, სხვისი ჭირის გაზიარება არის ,,დიდი დონე სულისა, დიდი შეძლება გულისა", რომელიც მხოლოდ დემურ გადელიას მსგავს პიროვნებას შეუძლია.

გმადლობთ ძვირფასო ადამიანო, გმადლობთ გულის სიღრმიდან.

რუსუდან ბიგვავა

კონსულტაციები მოსახლეობასთან

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაიწყო სასოფლო –სამეურნეო თანადაფინანსების პროექტი.

მიმდინარეობს სოფლის განვითარების სენაკის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლების მიერ კონსულტაციები მოსახლეობასთან.

8 სექტემბერს შედგა შეხვედრა ნოსირის თემში, ხოლო 10 სექტემბერს ლეძაძამეს ტერიტორიულ ერთეულში.

მოსახლეობას განემარტა სახელმწიფო პროგრამების და მრავალწლიანი კულტურების თანადაფინანსების პროექტის შესახებ.

შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ხსოვნა

კაცი, რომელიც დაგვაკლდა

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ეროვნული მოძრაობის ღვაწლმოსილი პიროვნება, ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი. თადარიგის პოლკოვნიკი, გამორჩეული სამხედრო მოსამსახურე და სახელოვანი პიროვნება რეზო ასმავა.

აფხაზეთში დაბადებულმა, სოხუმში დაამთავრა სკოლა და იქვე მიიღო უმაღლესი განათლება. საქმიანობას იწყებს სკოლაში პედაგოგად. ამასთან ერთად ეწევა აქტიურ სპორტულ მოღვაწეობას. ხდება აფხაზეთის ჩემპიონი ჭიდაობაში. შემდგომ ძალებს მოსინჯავს საბჭოთა კავშირის ფარგლებში და წარმატებითაც.

როცა დაწყო უსამართლო ,,აფხაზეთის ომი " პატრიოტული სულისკვეთების ადამიანი ქვეყნის ერთიანობის სურვილით აღტკინებული ,მაშინათვე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. გახდა მე-8 ბატალიონის მეთაური და იარაღით ხელში იცავდა მამულის მტრისაგან.. შრომაში, კილასურთან, ტამიშთან, ყველგან სადაც საჭიროა იყო სიმედგრისა და გმირობის გამოჩენა. ბატალიონთან ერთად მონაწილეობდა ყველა ურთულეს ბრძოლებში

არ გამოვიდა, რისთვისაც იბრძოდა.

გულნატკენმა დატოვა მშობლიური მიწა და შემდგომ დევნილობაში მყოფს არც კი უფიქრია, რომ სამუდამოდ დატოვა აფხაზეთი. ფიქრში კი არა, სიზმარშიც სოხუმს ნახულობდა. არ ეგონა სიცოცხლეს დაასრულებდა ისე, რომ კვლავ არ მოისმენდა ზღვის ღელვას. არ ნახავდა სოხუმის პალმებსა და არ გაივლიდა ნაცნობ ბულვარში.

დევნილობისას გახდა თავდაცვის სამინისტროს სენაკის ბატალიონის ბრიგადის მეთაურის მოადგილე. წვრთნიდა ახალგაზრდებს მებრძოლური სულით. 1989 წელს მონაწილეობა მიიღო ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებაში. თანამებრძოლებთან ერთდ, სათანადო ტექნიკით შეიარაღებული მიადგა ქუთაისს. ამოცანა იყო ეროვნული ხელისუფლების აღდგენა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ ამოცანა ვერ შეასრულდა. შემდგომ ტყეში გაიხიზნა აკაკი ელიავასთან ერთად და გამოიარა მძიმე დღეები. იყო ხელისუფლებასთან შერიგების მწარე განცდა.

სიცოცხლის ბოლო ოცი წელი მთიანად დაუთმო ლაზურ-კოლხურ-იბერიულ ასო - დამწერლობის წარმოშობის კვლევასა და მისი ბიბლიური კავშირების შესწავლას. ამ ყველაზე სათუთ და მგრძნობიარე თემაზე ჰქონდა საინტერესო დასკვნები.. რომლის საზოგადო აღიარება დროის საკითხია.

იყო პირდაპირი. სამართლიანი და დასახული პრინციპების უშეღავათო შემსრულებელი. ჭირსა და ლხინში გვერდით საიმედოდ დამდგომი.

სამარადჟამო დიდება მის სულს.

ბორის დავითაია,
თანამებრძოლთა და
ვეტერანთა სახელით

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499